ოქმი #4

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ცაგერი 08 თებერვალი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, ო. ჩაკვეტაძე, გ. გოგებაშვილი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე, ე. საღინაძე, ნ. ტვილდიანი, გ. გურგუჩიანი, დ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: რ. ახვლედიანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
მერიისინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი: თ. მეშველიანი

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა. თუთისანი, მ.ლეთოდიანი/

განკარგულება:

1. მერების შეთანხმებაზე ,,კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერთების შესახებ.

/ა. თუთისანი, თ. მეშველიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 18 დეპუტატი/

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა. თუთისანი, მ.ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველია 2023 წლის 1 იანვრისთვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 4 629 861,38 ლარი, საიდანაც 3 864 887,09 ლარი არის საქართველოს მთავრობის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი და 764 974,29 ლარი მუნიციპალიტეტის ძირითადი სახაზინო ანგარიშის ნაშთია. საქართველოს მთავრობის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ნაშთიდან 3530.66 ათ. ლარი განაწილდა 2023 წლის ბიუჯეტის პირველი ცვლილების დროს, გადასანაწილებელია 334 196.09 ლარი, თუ როგორ განაწილდა დეტალურადაა ჩაშლილი განმარტებით ბარათში /დანართი თან ერთვის/.

2023 წლის 1 იანვრისთვის სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთია 764 974.29 ლარი, საიდანაც 2023 წლის ბიუჯეტის პირველი ცვლილების დროს განაწილდა 12035 ლარი, მიმდინარე ეტაპზე ხდება 228327 ლარის განაწილება /დანართი თან ერთვის/.

მერიის ხარჯებში მოხდება ასევე მუხლებს შორის თანხის გადატანა, კერძოდ, საქონელი და მომსახურებიდან 20,0 ათ. ლარი გადადის სუბსიდიის მუხლში (წითელი ჯვრის დაფინანსება).

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, რ. ხეცურიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომრემ: ნ. ტვილდიანმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 17

წინააღმდეგი: 0

განკარგულება:

1. მერების შეთანხმებაზე ,,კლიმატისა და ენერგეტიკისთვის" ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერთების შესახებ.

/ა. თუთისანი, თ. მეშველიანი/

აზრი გამოთქვეს: მ. ხაბულიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომრემ: ნ. ტვილდიანმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17-მა დეპუტატმა

განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 17

წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი